


1939

ქსენობრელი

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



1939

№5

ოქტომბრული

№ 5
მ ა ი ს ი
1939 წ.



გამომცემლობა „კომუნისტი“
რედაქ. მისამართი: თბილისი, გრიბოედოვის ქ. № 34
ტელ. № 3-02-61

საბ. ა. ლ. კ. ქ. ცეკასა და საბ. განსახკომის ერთობიური ორგანო

შინაარსი

	83-
1. ალიო მავაშვილი, — მისი (ლექსი)	1
2. ღაპით შაშათაშა, — კლდე (მოთხრობა)	2
3. გიორგი კახანიძე, — ჩვენი ეზოს ცეცქები (ლექსი)	5
4. ი. გრიშაშვილი, — ბიჭო ნუ ურევ ქვიშასა (ლექსი)	6
5. ანა ხახუთაშვილი, — (ძმობი), — ჭია ქალაქს მიბრძანდება (მოთხრობა)	6
6. იგორ ვსევოლოვსკი, — საბჭოთა კავშირის გმირი (ნარკვევი თარგმანი ციალა ჩხეიძისა)	8
7. გრიგოლ ცვეცლაძე, — მანანა, მურია და ტიკინები (ლექსი)	9
8. ვარკია ბარათაშვილი, — პატარა ექიმი (პოემა)	10
9. თურმან შანშიაშვილი, — ბობლია კუ (ზღაპარი)	11
10. ალ. სულაშა, — ჩვენი მგოსანი (წერილი)	15
11. ქ. რ. დიმიტრა, — სარტყარი (ლექსი თარგმანი ე. აგლაძისა)	16
12. ნინო ძაფუშაშვილი, — ორივე ფეხით გაება (მოთხრობა) გარეკანის მე-3 გვ.	
13. ი. გიორგაძე, — უცნაური გემი (ნარკვევი) : გარეკანის მე-4 გვ.	

ტერნლის გაფორმება და გარეკანის მხატვრობა ეკუთვნის მხატვარ ი. ქოქიაშვილს

პას უხისმგებელი რედაქტორი: ლ. შიშინაძე პას უხისმგებელი მდივანი: თ. შანშიაშვილი

ვალეცა წარმოებას 16/IV 39 წ.
ხელმოწერილია დასაბუქდად 15/V

ქალაქის ზომა 60×92
ფორმათა რაოდენობა 20-გვ. 9¹/₂×14

გ ა ი რ ი

აღიშნული

5788


ფესქვეშ მდებარედაფენილი,
ჩვეულ სიღარბაისლით,
სურნელოვან გაზაფხულით
შემოსულა მანისი.

მეგობრებო, რა დარია,
წუნარი და უშფოთველი!
ხვდავთ, მწვანე ჩიტებივით
ხეზე დახსდნენ ფოთლები!

მათ მერცხალიც მიემატა,
მოფრენილი შურდული,
ერთად მორთეს მხიარული
ჭიკჭიკი და ქლურტული.

გამოცოცხლდა არემარე
ბავშვთა ჩვილ-სივილით.
ეგვლას ზირზე აფენია
გაზაფხულის დიმილი!

რა ზვიდით შემოსულა
და რა სიღარბაისლით
ეს ახალი გაზაფხული,
ეს ზირველი მანისი!





კლდე

მისის კრიალა ცაზე ღრუბლის ნა-ტამალიც არ ჩანდა, შორს ჰორიზონტზე იალქანი ქათქათებდა, ხოლო დაკბილულ კლდოვან ნაპირებთან ზღვა ოდნავ შრია-ლებდა.

ზღვაში ნახევრად ჩაშვებულ ვეება კლდეზე საპირველმისო ექსკურსია ისვენებდა. გოგო-ბიჭები ლოდებზე ჩამომსხდარიყვნენ და ქალარა მეთევზეს გულ-დასმით უსმენდნენ:

... წინათაც ამ სოფელს ციხისძირს ეძახდნენ, თურმე, — განაგრძობდა მოხუცი. — სოფელში ერთი ოზოლი ბიჭი იყო, მეთევზე. რატომღაც „თევზბიჭა“ შეერქვა მას, და მისი ნამდვილი სახელი თითქმის დაივიწყა სოფელმა. განთქმული მოცურავე იყო, მთელი დღე-ღამე ადვილად ვაძლებდა წყალში, ბევრი განწირული ადამიანი გადაურჩენია აუცილებელ დახრჩობას, მისი ბაღე კი არასოდეს არ გა-ცდენილა.

ერთ მთვარიან ღამეს მეთევზეთა უბანში ნავები გამართეს და სათევზაოდ გაეშურნენ. ყველაზე წინ თევზბიჭის ნაღი მიტურავდა. დაბალი ხმით ლიღინებდა რომელიღაც მებადური, საამოდ შრიალ-ებდა ნიჩბის მოსმისას წყალი და მომჯადოებლად ლივლივებდა მთვარიანში თვალშეუვალი ზღვა. ხანგრძლივი სიჩუმე მოხუცი მეთევზის ხმა დაარღვია; ქარიშხალია მოსალოდნელიო, ირწმუნებოდა მოხუცი. არავინ არ დაიჯერა, ახალ-გაზრდებმა გაიცინეს კიდევ, თევზბიჭსაც არ სჯეროდა. იმ ღამეს ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა.

ლილით თევზბიჭის ნაღი გამოაგლო ზღვამ. გონებადაკარგული თევზბიჭა ღიღხანს ეგლო ქვიშაზე. როცა გონება დაუბრუნდა, მიმოიხედა, მაგრამ ვერავინ დაინახა. ძლივს ათორია ფეხები და წასვლა დააპირა. ამ დროს რაღაც უცნაური ხმა შემოესმა. დაბალი იყო და წყნარი. ადამიანის ხმას არ ჰგავდა და არც ცხოველისას, რაღაც უცნაური ბაყაყისებური კრუ-ალი ხელახლა განმეორდა. ნავში ჩაიხედა თევზბიჭამ და სველი ბაღე ამოსწია. ბაღეში თითისხელა თევზი ვერცხლისფრად ბზინავდა და დაბალი ხმით კრუალებდა. ყური მიუგდო და გაიგონა:

— თევზბიჭა, გამიშვი და ბედს გწვეო. ყმაწვილმა ბაღიდან ამოაძვრინა თევზი და ხელისგულზე დაისვა. მაშინ თხოვნა ისევ გაუმეორა თევზმა. თევზბიჭს გაეცი-ნა: და უთხრა

— რაში შეგიძლია დამეხმარო? — თევ-ზმა უპასუხა, რომ ყოველთვის მისი მშველელი იქნება, თან დარიგება მისცა:

— გაკირვების დროს ნაპირთან მოდი და დამიძახე: ნამცეცა, მიშველეო, მე იმ-წუთსვე შენთან გავჩნდებიო.

ისევ გაეცინა ყმაწვილს. ან რაში უნდა გამოსდგომოდა თითისხელა თევზი, აილო და წყალში გაუშვა.

მეორე დღეს თევზბიჭა ბატონმა იხმო და .სასტიკად გაუჯავრდა სავალდებულო ბეგარის დაგვიანებისათვის. თევზბიჭამ მოახსენა, დაღრჩობას რომ ძლივს გადაარჩა, მისი ამხანაგები კი უკვალოდ დაიკარგნენ, თან ალუთქვა ბატონს მომავალში ბეგარის

ორმაგად გადახდა, ხოლო ახლა პატივმა ითხოვა.

საშინლად გაავდა ბატონი და თევზბიკის გაჯოხვა ბრძანა. წამოაქციეს ყმაწვილი და დაუწყეს ცემა.

ბატონს ერთი ქალიშვილი ჰყავდა, ლამაზი იყო, მაგრამ ძლიერ წუნია. მთელი დღე ტიროდა. აიტყნდა რაიმეს და თავისას არ მოიშლიდა. ახლაც მოახლეზე გაჯავრბულს რაღაც დაეწუნებია და ტიროდა, მაგრამ დაინახა თუ არა ვილაყას ჯოხავდნენ, გაჩუმდა და დაინტერესდა. თევზბიკა საშინლად გმინავდა. ხუთი ბიჭი რიგრიგობით სცემდა სახრეს.

წუნია მივიდა მათთან და გაკაპასებულმა წამოიკნავლა:

— შეჩერდი...ი...ი...ით!

ბიჭები გაჩერდნენ. წუნიათ თევზბიკა ააყენა და ჰკითხა:

— რა გქვია შენ?!—ყმაწვილმა დასისხლიანებულ სახეზე ხელი მოისვა და უპასუხა: ო,ო,თევზბიკა?! კარგია! გაუხარდა წუნისა და მხიარულად შეხტა. — რატომ გცემდნენ?!

ყმაწვილმა უამბო მიზეზი.

— მაშ კარგი, — თქვა წუნიათ, — დღე-იღამ ვერავინ გაგებდავს შენ ამას, ოღონდ ხვალ ოქროს თევზი უნდა მომიტანო, შენ ხომ თევზბიკა ხარ?! თორემ მთელ ქვეყანას შევძრავ და მამას ვეტყვი... — არ დაასრულა აზრი წუნიათ და ხელი დამუქრების ნიშნად გაიქნია.

— კარგიო, — უპასუხა ყმაწვილმა და დღონებული წავიდა სახლში. მთელი დამეფიქრობდა თევზბიკა, თუ რა ეღონა. ნაშუალამევს მოაგონდა ყმაწვილს ნამცეცა. სასწრაფოდ ჩაიკვა და ზღვისპირისაკენ გაეშურა. ჯერ კიდევ მთვარე ცაზე იყო, ლამაზი იყო ზღვა. ნაპირთან ყმაწვილმა თავისთვის წაიბუტბუტა:

— ნამცეცა, მიშველეო.

მართლაც, ნაპირს მოადგა ნამცეცა და თევზბიკას გასაქირი გამოჰკითხა.

— საშინელი ღრიალაა, თუ თხოვნა არ შეგუსრულე, ტირილით ქვეყნას შესძრავს და ბატონი ფეხით დამკიდებსო, — დაუმბატა ყმაწვილმა.

ნამცეცამ გულდასმით მოუსმინა ყო-

ველივე და თევზბიკას ურჩია: სოფლის ბოლოს მეთევზეთა უბანში კლდის ძირას გათხარე მიწა და იქ უთუოდ იატყნა ოქროს თევზსო.

დამეშვიდობა ყმაწვილი ნამცეცას, მივიდა კლდის ძირას და დაიწყო თხრა. დიდხანს თხარა მიწა. ბოლოს წერაქვმა ოქროს ზოდი ამოაგორა. ზოდი თევზის მოყვანილობისა იყო. მიუტანა ბატონის ქალიშვილს იგი თევზბიკამ. გაუხარდა წუნისა და ვაჟს მადლობა გადაუხადა. გავიდა ხანი.

ერთ დღეს თევზბიკამ გაიგო, წუნისა ოქროს შარფი აუჩემებიაო. ბევრი ეცადეს, მაგრამ ვერ დააწყნარესო. ბოლოს მოუხმეს ვაჟს. თევზბიკას დანახვაზე წუნია გაჩერდა და გაიღმა, ერთხანს ტიტინა, ბოლოს მაინც თავისი მოიგონა და ყმაწვილს უთხრა:

— ხვალვე ოქროს შარფი მომიტანე, თორემ ტირილით ქვეყანას შევძრავო.

დაღონდა ვაჟი. საღამოს, მზის ჩასვლისას, მივიდა ზღვის პირას და ნამცეცას უხმო.

თევზმა უთხრა:

— გამოართვი, დედაშენს ძველი შარფი რომ აქვს. ნაშუალამევს, ყველა რომ დაიძინებს, სოფლის გაღმა ტყეში ნაკადულის მორევში ამორცხე და წუნისა მიუტანეო.

დამეშვიდობა ყმაწვილი ნამცეცას და ისე მოიქცა, როგორც თევზმა ურჩია.

ღილით მოემხადა წუნისათან წასასვლელად, დახედა შარფს, მას ბრკეციალა





ოქროსფერი დასდებოდა. ვახარდა და წაუღო წუნისა. ბატონის ქალიშვილის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ახელდახედა ვაჟს, მოეწონა თევზბიქა, მისი ამაგი და დიდი მადლობა გადაუხადა. მღელ სოფელში გაეარდა ხმა თევზბიქას საოცარი მოქმედების შესახებ.

ამ დროს ბატონმა სოფლის ზემოთ გორაკზე ციხის მშენებლობა წამოიწყო, ხალხი ბეგარაზე გამოიყვანა. ზღვის პირიდან გორაკის წვერამდე გამწკრივებული იყო გლეხობა. ზღვის რივეზე მდგარი პირველი მთორეს გადასცემდა ციხის საშენ ღოდს, იგი კიდევ თავის ამხანაგს და ასე ეზიდებოდნენ ქვასა და ღოდს გორაკისაკენ.

ბოლოს აშენდა ციხე, და ბატონის საბრძანებელი კიდევ უფრო გაიზარდა. ხმა ვერ ამოეღო სოფელში კაცს, ტირილი ხშირი იყო და ლხინი იშვიათი.

ერთ ღამეს სასახლეში ფარულად იხმო წუნია მ თევზბიქა, თავისი გუმანი გაუმტღავა და ცოლად გაყარდას შეპირდა.

გაეცინა ვაჟს და ქალს უთხრა:

— სოფელში თავისუფლად ჩიტეც ვერ გაფრენილა მამაშენის შიშით და მე როგორ გაუუბედავ მას შენი თავის თხოვნასო.

წუნია დაფიქრდა და ყმაწვილს უპასუხა:

— იბრძოლე, დაამარცხე მამაჩემი და ცოლად გამოგყვებიო.

დაფიქრებული დაბრუნდა ქონში თევზბიქა. ბოლოს მოაგონდა ნამცეცა და რჩენისათვის მასთან წასვლა განიხრახა.

თევზმა ურჩია: მთაში, ბატონის ციხე-დარბაზის პირდაპირ, უსახელო მწვერვალზე კლდე მოგლიჯე, დაავარე, ბატონის სამყოფელს განადგურებ, სიწველი განთავისუფლდება ჩავერისაგან და შენც სურვილს შეისრულებო.

წავიდა თევზბიქა მთაში, წაიღო წერაქვი, საღამომდის ეწვალა, მაგრამ კლდე ვერ დაძრა. მზის ჩასვლისას მივიდა ზღვისპირას და თევზი იხმო ისევ.

ნამცეცამ უთხრა:

— ბავშვი ყოფილხარ, შენ მარტორას გახდები, წაიყვანე მთელი სოფელი და საერთო შრომით კლდეს ადვილად მოგლეჯთო.

ჩამოუარა სოფელს თევზბიქამ, ყველას შეჰპირდა ბატონის მოსაპობას. დიდი და პატარა გაეშურა მთისაკენ. სულ ადვილად მოგლიჯა სოფელმა კლდე, ბატონის ციხე-დარბაზს დაუპირისპირეს და დაავარეს. გუგუნით წამოვიდა უზარმაზარი შავი კლდე. ციხე-დარბაზი სულ ერთიანად ხუხულასავით დაანგრია და ბოლოს ზღვაში მოადინა ზღართანი.

ბატონსა და მის ქალიშვილს ციხის ქვედა სართულში შეფერებინათ თავი და გადარჩენენ. ამის შემდეგ სოფელმა შეიპყრო ბატონი და სიკვდილს დაემუქრნენ, თუ კიდევ გაბედავდა ურჩობას.

თევზბიქამ შეირთო წუნია. ყმაწვილი ძველებურად თევზაობდა, ხოლო წუნია ძველი ხნე, წუნიაობა, მოიშალა და ჩინებული მეოჯახე ქალი დადგა.

სოფელში ამის შემდეგ მოისპო ბატონის სახსენებელი. ამ კლდეს, რომელზედაც ახლა ჩვენ ვდგავართ, ხალხმა „თევზბიქას კლდე“ უწოდა. ციხე კი ხელახლა არავის არ აუშენებია და ნანგრევებია და არჩენილი. სოფელს კი ძველებური სახელი დარჩა — ციხისძირიო, — დაამთავრა მოხუცმა მეფევემ.

ჩვენს კლდეს პიონერებით სავსე მოტორიანმა ნაღმა ჩაუარა. „დღეს პირველი მისია და პირველი გახაფხული“... — წკრიალებდა გოგო-ბიჭების ხმა.

მაისის ცაზე ღრუბლს ეერთი ნატამალიც არ ჩანდა. შორს, პორიზონტზე თვალისმომკრეფლად ქათკათებდა თეთრი იალქანი, მშვიდი ცისფერი ზღვა აღერსიანად ელამუნებოდა დაკბილულ კლდოვან ნაპირებს.

ხეივანი ქალაქი

ხმაურობენ, სიხარულით
 მოხვევიან რკალად,
 დილიდანვე რომ აშენეს,
 იმ პატარა ქალაქს.
 ქალაქს ფართო ქუჩები აქვს,
 მოედანიც არის...
 შიგ მდინარეც მიდუღუნებს,
 ვით თბილისში მტკვარი.
 ქუჩებს სიგრძე არ აკლიათ,
 არც ავტოთა ძალა.
 ქვევით მწვანედ ბაღიც ყვავის,
 როგორც ორთაქალა.
 სტადიონზე წითელ დროშას
 ჩუმი სიო არხევს,
 აქვე გული გაუღიასთ
 ქალაქისთვის ქარხნებს.
 პატარებიც სიხარულით
 მოხვევიან რკალად,
 მუყაითად რომ აშენეს,
 ამ პატარა ქალაქს,
 თქვეს: — ეს შრომის ქვეყანაა,
 გვეყვარება მუდამ...
 მაგრამ მტერი უთვალთვალებს
 და დავიცვათ უნდა.
 ამღერდნენ და დატრიალდნენ,
 რას არ მიხედნენ თვითონ,
 წრე მოავლეს ქალაქს ირგვლივ,
 გაამაგრეს ვითომ.
 ფიცრისაგან გამოთალეს
 ყველასათვის თოფი,

დადგნენ წრეზე და ფხიზლობენ,
 იარაღში მყოფნი.
 მტერს ელონ, მხნედ არიან,
 მოიღერეს ყელი...
 სირცხვილია, ვინმემ ქალაქს
 რომ შეახოს ხელი.
 უცებ წრეში საიდანღაც
 შემოიჭრა ფისო,
 უდარდელად, კუდის ქნევით,
 ისე, სახალისოდ.
 ღეო ყვირის: — რას თავებდობს,
 მოაქვს, ალბათ, რისხვა!
 ნელი ამბობს: — ჯაშუშია,
 მოგზავნილი მტრისგან.
 თანვე დიდი მოლაყბეა,
 ჭორებს სად არ ფანტავს...
 სხვებმა სხვა თქვეს, აიშალნენ,
 დაატყვევეს კატა.
 ყველა თათი გაუსინჯეს,
 აუწიეს ყური.
 უთხრეს: — რად ხარ ჭორიკანა,
 შრომის უმადური!
 რად არ იჭერ, რად მფარველობ
 თავგებსა და ვირთხებს?!
 ეს სიტყვები შარშან ითქვა,
 წილსაც ბევრჯერ გითხრეს!
 კატა ნელიმ ჩაიბარა,
 მწურალად გადახელა
 და სიცილით მიუყვანა
 დასასჯელად დედას.



ბიჭო, ნუ ურევ ქვიშასა



ბიჭო, ნუ ურევ ქვიშასა,
ნუ სტკეპნი ფეხის გულებით,
სასწავლებელი შენდება
მთავრობის განკარგულებით.

რას ჩააცვიდი ამ ქუჩას,
რას ჩააცვიდი ამ მხარეს,
ქვიშა, მჭიდა და აგური
განა აქ მიტომ დაჰყარეს,

რომ აქეთ-იქით გაჰფანტო
ეს სახელმწიფო ქონება?
ნუ იზამ! შენი ანცობა
არავის მოეწონება.

აგურებს ქიმებს უტეხავ,
მჭიდსაც ურევ ქვიშაში...
ლექს გიწერ, მერე მოდიხარ
და ემღურები გრიშაშვილს!

სასწავლებელი შენდება,
სასწავლებელი ახალი,
ამ სახლზე უფრო ღამაზი,
ამ ხეზე უფრო მაღალი.

შენც იქ ისწავლი, ბიჭიკო,
მთელის სულით და გულითა
და აინთები სამშობლოს
უმანკო სიყვარულითა.

ბი ა თ ა რ ა თ ს ბ ი ბ ზ რ ა ა ნ დ ა ზ ა

ანა ხახუაშვილი (საქიზი)

თქვენ არ გინახავთ კიამაია? მაგრამ
მართლა კია კი არ გეგონათ!

ეს პატარა გოგოს სახელია. სამი წლი-
საა. ძლიერ პატარა ტანისა, მეტად მოძრა-
ვი და მსუბუქია. დედამ წითელი კაბა შეუ-
კერა და ისე დაქრის, თითქოს ფრინავსო.
გოგონას ჯერ კი კიამაია დაარქვეს, მე-
რე მია ჩამოაცალეს და ახლა პირდაპირ

კიას უძახიან. კიას მორთვა და მოგზაუ-
რობა ძლიერ უყვარს. სახლში ერთი ძე-
ვლებური ჩალის ქუდი აქვთ. ყვავის ბუდე
ჰგავს. ამ ქუდში მისი დედა ახალახალ
კვერცხებს ინახავს ხოლმე კრუხისათვის
დასადებად. წარამარა ეს გოგონა ამ ქუდს
გამონახავს, თვალებამდე ჩამოიფხატავს,
ხელში პატარა დაგლეჯილ ქოლგას დაი-

ჭერს და მზად არის. ხელად სახლიდან გამობრძანდება, დიდ ლოდზე წამოსკუბდება, ან დაბოლავებულ ურემზე ჩამოჯდება თავის ქაჩაღა დედოფლით და საღლაც მიდის.

ერთ ღღეს იმათი კარის მდინარე დაწყვეტილიყო. ჭია თავისი მორთულობით და ჩერებში შეხვეული დედოფლით ჯინქვეშ, ფიჩხის კონაზე იჯდა და ვითომ ლამაზი ეტლით შორს საღლაც მიჭროდა. მათი ძალიერ იქვე იწვა და გოგონას ტიტინზე ტკბილად ხვრინავდა.

ამ დროს ჭიას დედამ ცომიანი პატარა თაბახი წყალზე გასარეცხად გამოიტანა, წყალი რომ დაწყვეტილი დახვდა, თაბახი ქვიშაზე დადგა და სახლში ჯამისთვის შეტრიალდა. აქა-იქ ჩაგუბებულ წყლით გავრეცხავო, ალბათ, ასე იფიქრა, მაგრამ, საქმის გამო, დიდხანს აღარ გამოსულა.

ჭიამ რომ თაბახს თვალი მოჰკრა, იმ წამსვე იქით გაქანდა, ასწია ფეხი და თაბახში კოხტად მოიკალათა.

— მშვიდობით, გენაცვალეთ, მშვიდობით, ჩემო მეზობლებო! ვინძლო ჩემს სახლს ყური კარგად უგდოთ, არაფერი არ დაშეკარგოს და მეც მალე მოვალ, — ლაპარაკობს ენაგაკრეფილი ჭია, ქაჩაღას გულში იხუტებს, ვითომ ავადა ჰყავდა და ქალაქში დიდ ექიმთან მიემგზავრება.

— აი, გენაცვალე, დახე, რა ლამაზი ეტლია, რა ცხენები აბია. იპ, იპ, იპ... — ტიტინებს გოგონა და თან ტოკავს, აქეთ-იქით თავს აქნევს, ვითომ გაქროლილი ეტლი აჯანჯლარებს. ამ ტოკვის დროს ყვავის ბუდის მსგავსი ქუდი ჭიას გვერდზე მოექცა და დაფხრეწილი ქოლგის ქვეშ ისეთი სანახავია, რომ მოკვდება კაცი სიცილით. მაგრამ აბა ახლა გოგონას სახეში შეხედეთ! ჭია იმ წამს ისეთი ამაყი და ბედნიერია, რომ იქნებ ქვეყანაზე მეორეც აღარ მოიძებნებოდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, ჭიას ბედნიერება იმ ღღეს ხანგრძლივი არ გამოდგა.

ეს კი სულ იმ ლახლახა იხეების ბრალია, აგრემც ისინი დაპბრაწვიან თავიანთ პატრონს გავარვარებულ ტაფაზე.

გოგონას არც კი გაუგია, ზურგს უკან როგორ წამოებარნენ. თურმე, ონავრებს ვენახზე ჩამოვარათ, ბოგირქვეშ ჩუმად გამომძვრალოცენ და ფეკილიანი თაბახი რომ დაინახეს, როგორც მტრის ლაშქარი, გოგონას ისე მიესივნენ. იხეებმა თაბახის გვერდებზე შემხმარი ცომი რომ იგემეს, საშინელი ამბავი დაატრიალეს. ოცდაათი იხვი ნიჩბების მსგავსი ნისკარტებით ეძგერა თაბახს და ისეთი რაჟენი ასტეხეს, რომ გოგონა კინაღამ გადარეის. თანაც დაიბრიყვეს პატარა: ორმა იხემა არც აცნა, არც აცხელა, ისკუპეს, ჭიას კალთაში ჩაუხტნენ და გაფეკილიახებულ კალთების კორტნა დაუწყეს.



ამასობაში წყალი მოვარდა. მორბის მდინარე, რას მორბის. მღვრიე ტალღებს წოწოლა ქვეზე ღონიერად გადმოაჩაფუნებს, ჩახრამულგებში ტკბილად ჩაიმღვრებს და ბოგირს უხანლოვდება.

აჰა, აგერ ბოგირიც. აქაც ერთ ჩახრიალაში გაჯავრებულევით ჩაიდუღუნა და კალთებგამლიღმა თაბახთან რომ დაიშიშინა, ეს ჩვენდ მოგზაური ნაფოტივით მოიტვიტოდა და ქვემოთკენ გააქანა. შეშინებულმა ჭიამ ახლა კი ისეთი ხმით დაიწვილა, რომ ხუთი მეზობლის კარი ერთად გაიღო, ხუთივემ „უიო“ ერთად დაიძახა და ხუთივე ერთად გაქანდა თაბახის დასაქვრად.

გადაარჩინეს. გაწბილებული ჭია დედას გულში ტირილით ეხუტებოდა, ხალხი კი იღვა და უცნაურად მორთულ გოგონაზე ხმამალა ხარხარებდა.



მე მოგიხსნათ თქვენ, თუ როგორ გახდა წითელარმიელი იუდინი საბჭოთა კავშირის გმირი.

ცხოვრობდა სამი ამხანაგი, სამი ტანკისტი, ცხოვრობდნენ მეგობრულად, არასოდეს არ ჩხუბობდნენ. საუკეთესო ამხანაგები იყვნენ: ტანკის კომანდირი ბილიბინი, ტანკის წამყვანი ლიბადინი და იუდინი — კარგი მსროლელი. მათი ტანკი მეცადინეობის დროს ახტებოდა ორმოცს, გადადიოდა ყველაზე ღრმა ხრამებზე, გადიოდა უღრან ტყეებში.

როდესაც იაპონელები დაესხნენ თავს ჩვენს მესაზღვრეებს, ტანკები გადავიდნენ შეტევაზე. შეტევაზე წავიდა სამი მეგობარიც.

ლიბადინმა თამამად წაიყვანა ტანკი პირდაპირ იაპონელების სანგრებისაკენ, ხოლო ბილიბინი და იუდინი ისროლნენ ტყვიამფრქვევს, და შეშინებული იაპონელები გარბოდნენ ზარდამცემი საბჭოთა ტანკის მიახლოვებისას. მეგობრები არ აყოვნებდნენ და მუხლოვებით სრესდნენ იაპონელების ზარბაზნებს.

განადგურებას გადარჩენილმა იაპონურმა ზარბაზანმა უცებ მძიმე ქურვი დაუშინა ტანკს. კომანდირმა ბილიბინმა დაიკვნესა, სასიკვდილოდ დაჭრა იაპონურმა ქურვმა მამაცი კომანდირი. მან უკანასკნელი ძაღლონე მოიკრიბა და დაიყვირა: — წინ!

იუდინი მივარდა იარაღს და ესროლა იაპონურ ზარბაზანს. ზარბაზანი სამულამოდ დაღუპდა. ლიბადინმაც დაიყვირა:

— წინ! — და მისცა სრული სისწრაფე. ტანკი გაეშურა წინ, იუდინი კი ისროდა. მამაც მებრძოლს სახეში ხედებოდა ცხელი ჯავშნის ნამტვრევები, სუნთქვა გაძნელდა დენტის გაზებისაგან. მაგრამ ლიბადინი და იუდინი ვერაფერს ამჩვენდნენ, ლიბადინს მიჰყავდა ტანკი წინ, სულ წინ, იუდინი კი ისროდა. აი, დაღუპა მან კიდევ ერთი ზარბაზანი, აი, ნამსხვრევებად იქცა იაპონელების ტყვიამფრქვევი.

მაგრამ უცებ ტანკი შეინჯღრა და გაჩერდა, იუდინმა დაინახა, რომ მისი მეგობარი ლიბადინი თავშია დაჭრილი, სახე სისხლით აქვს შესვრილი.


— ვერ ვხედავ... ვერაფერს ვერ ვხედავ... — ამოიკვნესა მან. ტანკი იღგა გაუნძრევლად. ყოველი მხრიდან ტანკისკენ მორბოდნენ იაპონელები. ისინი იქნევდნენ ხელებს და რალაცას ყვიროდნენ. აი, ახლა მოირბინეს თვით ტანკთან, აიღებენ მას... მაგრამ არა! — იფიქრა იუდინმა, — ეს არასოდეს არ მოხდება! — მან დაუშინა იაპონელებს ტყვიამფრქვევი, მტრებმა იყვირეს და გაიქცნენ უკან. მაშინ იუდინმა გადმოსვა ლიბადინი და თვით დაჯდა მის ადგილზე. — წინ! — გადაწყვიტა მან და უნდოდა უკვე დაეძრა ტანკი, რომ უეცრად დაინახა — ველზე გამორბის დაჭრილი მებრძოლი. მებრძოლი ტორტანობდა. მან მოირბინა ტანკთან და დაეცა მიწაზე. ყოველი მხრიდან კი კვლავ მორბოდნენ იაპონელები. მაშინ იუდინმა გააღო კარი და ტანკში შეათრია დაჭრილი მებრძო-

ლი, შემდეგ კი დიდი სიჩქარე აიღო. გა-
ქანდა ტანკი! მიალწია მძიმე მანქანამ გო-
რაკის წვერს და დაეშვა ქვევით, თავისია-
ნებისაყენ. იაპონელები მისდევდნენ უკან
და ესროდნენ. მარჯვენა ხელით იუდინი
მანქანას მართავდა, მარცხენათი კი იმაგ-
რებდა დაქრილ მებრძოლს, რომელიც
მან შექველ სიკვდილს გადაარჩინა. ტანკი

ელვის სისწრაფით მიქროდა ქვევით,
იაპონელები ჩამორჩნენ და ტანკის გა-
ვშანზე აღარ ხმაურობდნენ ტყეები.
არ გასულა რამდენიმე წუთი, და
ნმა მიალწია თავისიანებს. მან იხსნა ამბა-
ნაგები და საბრძოლო მანქანა.
ამ გამირობისათვის მან მიიღო საბჭო-
თა კავშირის გამირობის საპატიო სახელი.

თარგმანი ციხლა ჩხიძინა

გრიშოლ სახსლად



ნი-ნა-ნა, ნა-ნა-ნა,
მღერის ჩვენი მანანა.
ჩაამწკრივა ქალები—
თავის დედოფალები:

— აბა, ჩემო ლალი,
გაახილე თვალი!
შენაც, ჩემო ლილი,
გიყვარს ბევრი ძილი!

რატომ ტირი, მარინა?
აჰა, შენ მანდარინა.
შენთვის, ჩემო ნატა,
მიჩუქნია კატა.

შენ კი, ჩემო მამო,
რალა გიფეშქაშო?
ამ დროს შემოვიდა მურა
და მანანას მიაყურა.

მოეწონა მასლაათი,
ბავშუს აღერსით წაჰკრა თათი.

მიესალმა ყურის ცქვეტით
და ლაქუციტ მეტისმეტით.

გადაჰკოცნა შემდეგ ლალი,
მარინასაც უყო თვალი,
და რომ დაინახა ნატა,
გამოსტაცა კბილით კატა

და დაუწყო ჯიჯგნა ღრენით...
ძალღს მანანა ბრაზით, წყენით
უჯავრდება:

— „იქით, მურა!
არ დაგლიჯო, შე გრძელყურა!

ის ხომ ტიკინაა კატის,
ის არც კნავის და არც დაღის,
რას გიშავებს იგი შენა?“
წამს შეწყვიტა მურამ ღრენა,

დააკერდა კატას კვლავ და...
მიხვდა, სულდგმულს არა ჰგავდა.
და როს იცნო მან ტიკინა:
— მოვტყუედიო, — გაიცინა.



პაჩია ქიმი



(დასასრული*)

— აუუ, აუუ —
 ყმუის მგელი
 ღორმუცელა, კუდაგრძელი:
 „აღარ მინდა ცოცხლად თავი,
 ჩავიდინე საქმე ავი:
 ცხვარს გავკარი გუშინ კბილი
 და მის შემდეგ ასე ვყვირი...
 ან რამ უნდა მათამაშოს?
 მომეშველე! ძვალი მახრჩობს.
 თუ კი ახლა გადამარჩენ,
 არ ვილორებ, სიტყვას გაძლე!
 დიდი ცხვარი აღარა მყავს,
 გისაჩუქრებ ამ თერო პატკანს“.
 მიეშველა მერაბ იმ ზამს,
 ჩამოართვა თანაც სიტყვა:
 „თუ ცხვარს ახლე კიდევ პირი,
 აღარ მითხრა ვასაჭირი,
 ძვალმა სულაც რომ დაგახრჩოს,
 მისაღებში აღარ გნახო“.

* *

„წკაბი, წკუბი, წკაპი, წკუპი“ —
 მოცუნცულდა კობტად, სკუპით,
 მოიყვანა თან ბაჰია
 (რა თეთრია და პრანჰია!)
 შეიღს თათს .უსეამს თავზე ნელა,
 თან ცახცახით უტყერს მერაბს:
 „იცილობთ, ალბათ, გიას მურას,
 ბაბლიას და ყურბანტურას,
 ბაჰიას სდის სისხლის ღვარი,
 ეს იმ მურას საქმე არი...
 თუ შეიძლება გადარჩენას,
 ეს კომბოსტო გქონდეს ძღვენად“.

* *

„ვაი, ვაი“ —
 კივის ტურა,
 მასაც ვაჰკრა კბილი მურამ.
 მოცქრილდა აგერ შველი,
 დახატული, გულაჭრელი.

ჩუ! რა მოხდა? რა ხმაური?
 დათევბს მოაქო საკაცური.
 „უჰ, უჰ, უჰ, უჰ,“ —
 ყველას ესმის:
 დათუნია წევს და კენესის.
 მობაჯბაჯდა დედა-დათვი,
 გაუწოდა მერაბს თათი:
 „მომეშველე, დამეხმარე!
 რალად ვახელ დედა თვალეებს!
 წამოსტკივდა დათოს კბილი,
 ვერ გადიტანს ბელი ტკივილს,
 დღე და ღამე ისე კივის,
 ვედარ ვუძლებ ცრემლს და ტირილს.
 თაფლი ქამა წუწქმა ბიქმა
 (მოგიტანე აქ ის ფიქვა).
 მომირჩინე ოღონდ შეილი,
 ბლომად მომაქვს პანტის ჩირი“...

* *

ილიმება მერაბ წყნარად:
 „კბილმა ასე გაგამწარა?
 აქ არა მაქვს, დათო ჩემო,
 წამლები და ბორმანქანა?
 მაგრამ ამ კბილს ჭია აზის...
 დამკირდება, ვნედავ, ვაზი.
 აბა, თინავ, დამეხმარე,
 თვალეებს როგორ ახამხამებ?“



*) დასაწვ. მხ. „ოქტომბრული“ № 4.



დათუნასთან მოდი ახლოს,
ვინ გაბედავს თათი გახლოს?

ერთი, ორი, ერთი, ორი —
არც ინძრევა კიბილი, მგონი.
გამოსწია კიდევ მაგრად
და ტახტიდან ვადმოვარდა.

გააქყიტა მერომ თვალი:
დათუნია სადღა არი?
აღარც ტურა, მელა, მგელი,
ღორმუსეღა, კუდაგრძელი,
არც ხალათი, არც სათვალე...
არ უჯერის ბიჭი თვალებს.

წამოფრინდა უტბად თინა,
სუგრუმელა პაწაწინა,
ეუბნება: «სუგას კენესამ
ვგრე როგორ შეგაშინა,
აღბათ, ძილში ჩაგყვა დარდი...
შფოთავდი და ვადმოვარდი
აგერ ჩვენი მეგობარი

ახლა უკვე კარგად არი“.
დატრიალებს მართლაც სუგა,
ძველებურად ხტის და ცმუკავს,
თამაშობს და ცქვიტავს ყურებს,
ლამაზ ექვანს აწკარუნებს.
ფიქრობს მერაბ: „მე და თინამ,
აღბათ, ოფლი მოვადინეთ,
არ დასჭირდა სკიპილარი,
მოუშუშდა ისე ტანი...
„სკიპილარი“, „სკიპილარი“ —
ცხადი იყო თუ სიზმარი?

— „იცი, თინა, ვფიცავ ბების,
როცა დიდი გავიზრდები,
დავამთავრებ როცა სკოლას,
შევიქნები მამის ტოლა,
გადვიკითხავ დიდ-დიდ წიგნებს:
ვეტ-ექიმი ვავხდე იქნებ...
და მოვარჩენ მაშინ ყველას:
ყურცქვიტას და კუდა-ჭრელას,
იხვებს, ბატებს, ინდაურებს;
გარეულს და შინაურებს“.


თუჩვან მანუაშვილი

ბობლია კუ

(ზღაპარი)

დიდი ხნის წინათ, ტყის განაპირას, უზარმაზარი გამხმარი წიფლის ქვეშ ორი მეზობელი ცხოვრობდა; მარცხნივ — ეშ-მაკი ზღარბი, მარჯვნივ კი წინდაუხედავი და გონებაჩლუნგი კუ. მეზობლებს

არც თუ ისე კარგი განწყობილება ჰქონდათ, საკმარისი იყო მცირე საბაბი, რომ ეკლიანი ზღარბი აბურძგენილიყო და გონებაჩლუნგ კუს გაცოფებით მივარდნოდა. უბედურება იმაში იყო, რომ კუს



ასეთი მაგარი ჯავშანი არა ჰქონდა, ახლა რომ იცავს მის ტანს, მაშინ ოდნავ გამაგრებული ზურგი ჰქონდა და ამიტომ იყო, რომ ზღარბის ეკალი თავისუფლად ატანდა კუს ზურგში და საშინელ ტკივილს აყენებდა საბრალო ქვეწარმავალს. დაბრკელებული კუ მუდამ იმის ცდაში იყო, რომ მეზობლის გული რითიმე მოეგო და მისი მჩხვლეტავი ეკლისაგან თავი დაეზღვია. ყოველთვის, საჭირო იყო თუ არა, თავაზიანად ეკითხებოდა:

— დღეს როგორ გრძნობთ თავს, ჩემო მეზობელო?

ზღარბიც ამაყად უპასუხებდა კარგად, და ამით თავდებოდა მათი საუბარი. თუ ზედმეტი კითხვებით შეაწუხებდა, მაშინ, იცოცხლე, კუდით ქვას ასროლინებდა გონებაშლუნვ ბობლიას (ზღარბი დაცინვით ეძახოდა ამ სახელს, რადგან კუს სირბილი არ შეეძლო და მუდამ საცოდავად დაბობლავდა).

ერთ დღიას კუმ ქალაქში სავაჭროდ წასვლა გადაწყვიტა, მეზობლისათვისაც რომ ესიამოვნებინა, დინჯად მიადგა ზღარბის კარებს და ფრთხილად დააკაუნა.

— რა გნებავს, ბობლიავ, რისთვის შეგიწუხებია რეგვენი თავი? მიმართა გესლიანად ზღარბმა.

— ქალაქში მივდივარ, ჩემო მეზობელო. მინდა ცოტა რამ ვივაჭრო და იქნებ რამე დამბარო, საყიდელი ხომ

არა გინდა რა? — მოშაქრული თავაზიანობით შეესიტყვა ბობლია.

— მე მინდა... — ოდნავ ჩაფიქრდა ზღარბი და შემდეგ ჩვეული სწავლით მიამახა: „არაფერი!“.

გამობრუნდა ბობლია და მწარედ ჩაფიქრდა: ნეტა რა იქნება ეს არაფერი, ალბათ, კარგი რამეა. უნდა ვიმეორო, სანამ ქალაქს ჩავალ, თორემ დამავიწყდება და ვეღარ ვიყიდი არაფერი. თუ ვერ ვიყიდე, ვაი მაშინ ჩემი ბრალი, ისე დამჩხვლელტს ჩემი მეზობელი, რომ საკუთარი სახელი დამავიწყდება.

მიდის, მიბობლავს კუ და იძახის: „არაფერი, არაფერი, არაფერი“...

კარგახნის სიარულის შემდეგ ბობლია მდინარეს მიუახლოვდა. წყლის პირას მელა იჯდა და თევზაობდა. რამდენჯერაც ამოიღო ანკესი, იმდენი ცარიელი იყო, ერთი თევზის მეტი ვერ დაიჭირა. ბრაზობდა მელა, პირიდან დორბლს ყრიდა. აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. სასწრაფოდ შეასწორა ანკესი, მოზრდილი ჭიაცვლა წამოაგო და ის იყო წყალში უნდა ჩაეშვა, რომ ამ დროს გაისმა „არაფერი, არაფერი, არაფერი“... მელიამ უკან მოიხედა, კუ მიბობლავდა მის ახლო და იძახოდა: „არაფერი, არაფერი“...

გაბრაზდა მელა, ანკესს ხელი გაუშვა და მიამახა:

კუო, კუო, ბობლიაო,

ენა რათ არ მოგლიაო!

როგორ თუ არაფერი, ამდენი ხანია აქ ვზივარ და ერთი თევზის მეტი ვერ დავიჭირე. სულ შენი ბრალია, შეყვეწყო, შენ! მელა მივარდა კუს, ჯერ ჩაჰკინა, შემდეგ კი წინა ფეხით დაუწყო ცემა. იმდენი სცემა, იმდენი სცემა, სანამ გვერდები არ დაულურჯა, თან დასძახოდა: კიდე იტყვი არაფერი, არაფერიო?! ცემისაგან მისუსტებულმა კუმ ძლივს ამოიკვანდა:

— ამა რა დავიძახო, ბატონო მელიავ?

— თქვი, ეს ერთი დასხვა ათასი-თქო, გესმის, — უპასუხა მელამ და თან თათი დაუქნია.

ძლივს წამოდგა ნაცემი ბობლია, ერთი კი მოიხედა მელთასაკენ და ზანტად გასწია:

— ეგ ერთი და სხვა ათასი! ეგ ერთი და სხვა ათასი!

იძახის კუ და მიბობდავს ქალაქისაკენ.

დაღმართზე რომ ჩავიდა, წინ აუარებელი დათვები შემოეყარა, დათუნებს კუბო მოჰქონდათ; კუბოში ვეებერთელა გასისხლიანებული მურა დათვი იწვა. ისმობდა ბურტყუნის, ტირილი და კვნესა.

— ეგ ერთი და სხვა ათასი, ეგ ერთი და სხვა ათასი! — მოისმა ამ დროს, და დამწუხრებულმა დათვებმა ბრაზით შეხედეს ბობლია კუს.

— ეგ ერთი და სხვა ათასი, ეგ ერთი და სხვა ათასი! — იძახოდა კვლავ კუ და წინ მიბობდავს.

— კუო, კუო ბობლიაო, ენა რათ არ მოგდლიაო!

როგორ თუ სხვა ათასიო, ეს ერთი საქმარისი არ არის, რომ მოგვიკვდა?! — აბა დაჰკათ ამ ბრიყვს! — დაიძახა ერთმა დათუნამ და საბრალო კუს ჩასცხო ზურგში. სხვა დათუნებიც მიესივნენ და ყველამ უთავაზა თითო თათი. საბრალო კუს ზურგი გაუსივდა, დაუბებრდა და დაუწითლდა.

— მაშ რა ვთქვა, ბატონო დათუნიგბო? — ამოიკვნესა განაწამებმა ბობლიამ.


— აცხონოს თქვენი მიცვალებული — თქო, — უთბრეს დათუნიებმა და ნაცემ კუს თავი დაანებეს.

ძლივს ვაივავლახით წამოდგა კუ, გვერდები უფეუწუნებდა. ერთი კიდევ გაიხედა დათუნიებისაკენ და ბობლვა განაგრძო. — აცხონოს თქვენი მიცვალებული, აცხონოს თქვენი მიცვალებული...

იძახის კუ და მიბობდავს. მოსახვევში ყოყინა შემოვსმა, აუარებელი კურდღელი მორბოდა, ქუდებს მალღია ისროდნენ და მღეროდნენ:

მოგვყავს და მოგვიხარია
დედალ-მამალი ხოხობი...

კოტახნის შემდეგ მდიდრულად მორთული ეტლი გამოჩნდა, შიგ ახლად. შეუღლებული დედალ-მამალი კურდ-



ღელი იჯდა და ერთმანეთს შეგზაროდნენ.

— აცხონოს თქვენი მიცვალებული, აცხონოს თქვენი მიცვალებული... — გაისმა ამ დროს ბობლიას ხმა, და მაყარმა კურდღლებმა ყურები ცქციტეს.

— აცხონოს თქვენი მიცვალებული, აცხონოს თქვენი მიცვალებული...

კვლავ იძახოდა ბობლია კუ.

— კუო, კუო ბობლიაო, ენა რათ არ მოგდლიაო!

— სად არის აქ მიცვალებული, შე ყყეწო, ჩვენ მეფე-დედოფალს დასცინი? — მიესივნენ კურდღლები და იმდენი სცემეს რომ გასიებული და დაბებრებული ზურგი უფრო გაუსიეს.

— აბა რა ვთქვა, ბატონო კურდღლებო? — ამოიკვნესა ბობლიამ.

— ერთმანეთს შეაბეროს თქვენი მეფე-დედოფალი! — უპასუხეს კურდღლებმა და თავიანთ გზას გაუდგნენ.

კვლავ აბობლდა კუ და იმეორებდა: „ერთმანეთს შეაბეროს თქვენი მეფე-დედოფალი, ერთმანეთს შეაბეროს თქვენი მეფე-დედოფალი“. ამასობაში კუ ვაკეზე ჩავიდა, ფართე შარას დაადგა და ბურტყუნით გასწია ქალაქისაკენ. წინ ბებერი მგელი შემოეყარა, ურემი მოჰქონდა. ურემზე ორი ავადმყოფი ლეკვი უწვა და შინ მიჰყავდა.

— ერთმანეთს შეაბეროს თქვენი მეფე-დედოფალი, ერთმანეთს შეაბეროს თქვენი მეფე-დედოფალი, — მოესმა მგელს. შეხედა კუს და ბრაზი მოერია.

— კუო, კუო ბობლიაო, ენა რათ არ მოგდლიაო!

სად ხედავ მეფე-დედოფალს, შე ყყეწო! — მიაძახა მგელმა და ისედაც ნაცემ კუს კიდევ ჩასცხო ზურგში. კუ ტკივილი-

სვან დაიძინა, წაიკა და კვნესით შე-
ეკითხა:

— აბა რა ვთქვა, ბატონო მგელი?

— მოგირჩინოთ ავადმყოფი, — აი რა
უნდა თქვა, შე ბენტერავ:

კიდევ ჩასცხო მგელმა და გზა განა-
გრო.

ძლივს წამოდგა კუ, კვნესით აიღდა
ფეხი და დაიძახა:

— მოგირჩინოთ ავადმყოფი, მოგირ-
ჩინოთ ავადმყოფი!

ცოტახნის შემდეგ კუს ქედლები შე-
მოხვდნენ, ისინი ამაყად მოიქნეოდნენ მსუ-
ქანს ღუმებს და დაგრეხილი რქებით ერთ-
მანეთს ეთამაშებოდნენ. წინ კი ყველაზე
ზორბა ქედილა მოდიოდა და ყველას მე-
დილურად გადაპყურებდა. დღეს ეს ქედი-
ლა შეჯიბრში მიჰყავდათ, ამ ქედილით
ამაყობდნენ და მისით აპირებდნენ გამარ-
ჯევების მოპოვებას.

— მოგირჩინოთ ავადმყოფი, მოგირ-
ჩინოთ ავადმყოფი...

მოესმათ ქედილებს. ძირს დაიხედეს
და ბობლია კუ შეაშჩინეს.

— კუო, კუო ბობლიაო,
ენა რათ არ მოგდლიაო!

ავადმყოფი კი არა, ფალავანია, ფა-
ლავანი, ვის დასცინი, შე საძაგლო! —
მიაძახეს ქედილებმა და მიესივნენ ზურგ-
დალურჯებულ კუს.

— აბა რა ვთქვა, ბატონო ქედილე-
ბო? — ამოიკვნესა ბობლია კუბ.

— გაუმარჯოს თქვენ ფალავანს! აი
რა უნდა თქვა, — მიაძახეს ქედილებმა და
გაშორდნენ.

კვლავ წამოდგა კუ და დაიძახა:

— გაუმარჯოს თქვენ ფალავანს, გაუმარ-
ჯოს თქვენ ფალავანს...

პატარა მდელიზე ფუტკარების გუნდი
შემოეყარა ნაცემ კუს. მათ ფრთამორტე-
ხილი ფუტკარი მოჰყავდათ და ნალვლია-
ნად ზუზუნებდნენ.

— გაუმარჯოს თქვენ ფალავანს, გაუ-
მარჯოს თქვენ ფალავანს! — დაიძახა ბობ-
ლიამ.

— კუო, კუო ბობლიაო,
ენა რათ არ მოგდლიაო!

რათ დაგვეცინი, აბა რამ გააფალავანა,
პატოხანნი ბუშა ფუტკარია. გაიარე შენ-
თვის, გულს რათ გვიგესლავ.

— გაუმარჯოს თქვენ ფალავანს, გაუმარ-
ჯოს თქვენ ფალავანს, — იძახდა ვეღვა
ბობლია.

ახლა კი გაბრაზდნენ ფუტკარები. სტარი
მოიმარჯვეს და შეუბრალებლად
დაკბინეს კუ.

ბობლია მთლად გასივდა, ზურგი აე-
ბურცა, თვალებიც გაუსივდა და ძლივსა
ხედავდა. საშინელ ტკივილებს გრძობ-
და. ქალაქში წასვლა აღარ შეიძლებო-
და, გრძობდა, რომ თვალები უსივდე-
ბოდა. — სულერთია, ვერაფერს დავინახავ
და რისთვის წაივდი, — გაიფიქრა ბობლი-
ამ და უკან დაბრუნება არჩია.

სალამოს გვიან მივიდა შინ. მეზობლი-
სათვის არაფერი უთქვამს, ისე შევიდა
სახლში. ხმელი ზალახი მოაგროვა და
დაწვა, ტკივილები აწუნებდა, თავი გაბ-
რუებული ჰქონდა. მხოლოდ გათენებისას
ჩაეძინა.

მესამე დღეს გამოძვრა ბობლია თავისი
ბულიდან, ზურგზე არაჩვეულებრივ სიმ-
ძიმეს გრძობდა, ტკივილები აღარ აწუნებ-
და, ეკლების მოდებამზე ზურგი ძველე-
ბურად აღარ სტკიოდა. გაიფიქრა: — მო-
ლი, ჩემ მეზობელთან მივალ და ბოდიშს
მივიხდი, რომ „არაფერი“ ვერ ვუყიდე,
თორემ შემდეგ შავ დღეს დამაყრისო.

მოწიწებით მიადგა ზღარბს კარზე.

— რა გნებავს, ბობლიავ, კისთვის
მაწუნებ? — ბრაზიანად მიმართა ზღარბმა.

— ბოდიშს ვიხდი, ჩემო მეზობელო,
რომ „არაფერი“ ვერ გყიდე.

ზღარბი გაბრაზდა, რას ჩმახავს ეს ყე-
ყერიო, და ძველებურად ცქცერა კუს, მაგ-
რამ უკაცრავად, ვეღარც კბილი მოავლო
და ვეღარც ეკლებით უჩხვლიტა. კუ
ერთხანს შეშინებული იღდა, შემდეგ კი
მიხვდა, რომ მისი ზურგი ამიერიდან მიუ-
კარებელი იყო, და ამაყი სიღინჯით გას-
წია წინ, აბეზარი მეზობელი ვადააბრუნა
და არხინიან შემობღდა ბუჩქებში.

ამიერიდან კუ დაცული იყო თავისი
ჯავშნით. თუმცა მას შემდეგ კიდევ ბევრი
სისულელე დაროშა და მრავალი მხეცი
გააბრაზა, მაგრამ თავისი ჯავშნის წყა-
ლობით ყოველთვის უვნებელი რჩე-
ბოდა, ისე რომ ბობლია კუს ცემით შე-
ძენილი ჯავშანი ცემის საწინააღმდეგოდ
გამოადგა.

ჩვენი პეოსანი

ქართველი ხალხის სახელოვან საბჭო-თა პოეტებს შორის ალიო მაშაშვილი ინიჭიერი პოეტის სახელით სარგებლობს. მან ეს სახელი საესებით დიშსახურა თავისი პოეტური ნაწარმოებებით. ამიტომაც იქნა კიდევ მისი ღვაწლი სათანადოდ შეფასებული, იგი დაჯილდოებულია პირველად შრომის წითელი დროშის ორდენით, მეორეჯერ - საპატიო ნიშნის ორდენით.

როგორც საქართველოს საუკეთესო პოეტი, იგი მონიწილეობას იღებდა ქართველი ხალხის იმ დღეგაციაში, რომლის მიღება მოხდა კრემლში 1936 წელს, სადაც ალ. მაშაშვილმა პირველად ნახა ჩვენი ქვეყნის უსაყვარლესი ბელადი დიდი სტალინი და მას გადასცა თავისი ლექსი „სამშობლო ბელადისა“.

თავისი მუშაობა ლიტერატურაში ა. მაშაშვილმა შემდეგნაირად დაახსია: თხუთმეტი წელია ვმუშაობ ლიტერატურის დარგში, საბჭოთა საქართველოს დაბადების დღიდანვე ვუმღერ ქართველი ძლევაშოსილი ხალხის ახალ მხიარულ ცხოვრებასო. ეს მართლაც ასეა. წერა ა. მაშაშვილმა ადრე დაიწყო, თანამშრომლობდა ჟურნალ-გაზეთებში, პირველი მისი წიგნი „მერეხი“ გამოვიდა 1923 წელს, მის შემდეგ მას არადროს არ შეუწყვეტებია თავისი პოეტური მუშაობა და ჩვენს მწერლობას წლითიწლიობით მხატვრებს ახალ-ახალ პოეტურ ნაწარმოებს, მან მიიპყრო მკითხველთა ყურადღება პირველი ლექსებითვე და პირველი წიგნითვე და მას შემდეგ მისადმი ყურადღება არ შეწყვეტულა, რადგან არ შეწყვეტულა მისი პოეტური წინსვლაც.

იმ პერიოდში, როდესაც დაიწყო წერა ა. მაშაშვილმა, ქართულ პოეზიაში



გაბატონებული იყო განყენებულ-რევოლუციური თემებზე წერა. ა. მაშაშვილმა დაარღვია ეს წესი და მოითხოვა: „ძირსიყვარულით დახედე მიწასო“ და პირველმა დაწერა ისეთი ლექსები, სადაც გამოხატა ცხოვრების ისეთი ამბები, რაც რევოლუციის სინამდვილეს გამოხატავდა. ლექსთა ასეთი ნიმუშებია: „მტკვარისტანი“, „აი, ცხოვრების მთავარი თემა“, „ლენინ“, „პოეტი კაპიტანი“, „კომკავშირული მარში“, „აი ადამიანი“, „ინციდენტი უჯრდის კრებაზე“. როგორც პოეტი, ა. მაშაშვილს თავიდანვე ახასიათებდა ძლიერი პოეტური გზნება, სიტყვის ლამაზად, მხატვრულად თქმის ძალა. ამიტომ იყო, რომ მან თავიდანვე მიიქცია ყურა-

დღეობა, როგორც ნიჭიერმა პოეტმა, რომლის პოეტური დეაქეაცება, პოეტური ოსტატობა გამოიხატა მის ისეთ ლექსებში, როგორიცაა „მე და ბარათა-შვილი“, „დამკვრელი ბრიგადები“, „ლენინი ჩვენს საქმეში“ და სხვ.

ქართველმა პოეტებმა მრავალი ნიჭიერად დაწერილი ლექსი უძღვნეს დიდ ბელადს-სტალინს. ამ ლექსებს შორის ერთერთ საუკეთესო ლექსად ითვლება ა. მაშაშვილის ლექსი „სამშობლო ბელადისა“. მან ოსტატურად აჩვენა ჩვენი ქვეყნის გაფურჩქვნის, ჩვენი ხალხის ბედნიერების სურათები. იგი დიდი სტალინის შესახებ ასე ამბობს ამ ლექსში:

„ზრებს თესავდი დედამიწაზე,
რომ გაზაფხული ამოგეყვანა,
კიდევ აღსრულდა: შენი დროშებით
გათენებულა ჩემი ქვეყანა“.

ლექსის ბოლოში ასე აქვს გამოხატული პოეტს ახალი საქართველოს სიხარული.

„შენი ღიმილი დააჩნდა მხარეს,
პირაყვავებულს მთებშით, მდებლოთი,
დღეს საქართველო შენით ამყარბს,
ვხარობთ ახალი საქართველოთი!“

3. კომიქსა

საჩუქარი

ძია სტალინს ჩიბუხი აქვს,
მაგრამ იქნებ არ აქვს ქისა...
შევუყვარე ჩემ სახსოვრად
ქისას წითელ ხავერდისას.

ან ბოსტანში, ან ხის ძირას
ჩამოვჯდები საღმე ჩემთვის
და შევუყვარე ძლიერ წვრილი,
ძლიერ წვრილი, წვრილი ნემსით.

აბრეშუმის ცისფერ ძაფით
ამოქარგავ ზედ ყვავილებს,
შუაში კი ამოვკემსავ
მოელვარე, ნახ ვარსკვლავებს.

აი, ხედავთ, ამ კოლოფში
ჩავდე ჩემი საჩუქარი -

საბჭოთა საქართველოს ბედნიერების ამსახველი პოეტური ავტორია აგრეთვე პიესა „განგაშისა“. არც ისე დიდი ხანია რაც ალ. მაშაშვილმა დაასრულა ახალი პოემა „ენგური“. ეს მშვენიერი პოემა ეხება ჩვენი მშენებლობის ერთ უბანს და იქ წარმოებული შრომის ხარისხს. „ენგური“ ა. მაშაშვილის შემოქმედებითი სიმწიფის მიღწევაა. იგი ფართო ტილოა ჩვენი დროის ადამიანების შესახებ.

მაგრამ ამას გარდა იგი წერს ლექსებს ბავშვებისათვისაც. მისი საბავშვო ლექსები თავმოყრილია და ცალკე წიგნად გამოსული ჩვენი საყვარელი პოეტის ირ. აბაშიძის ლექსებთან ერთად სათაურით „აღისფერი ყელსახვევი“. ალ. მაშაშვილის საბავშვო ლექსებში მოჩანს სიყვარული ბავშვებისადმი. იგი გასაგები, სადავნით უხატავს ბავშვებს ჩვენი ცხოვრების სხვადასვა მხარეს, უნერგავს მათ სიმტკიცის რწმენას, ლენინისა და სტალინის საქმისადმი, სამშობლოსადმი ერთგულებას, ჩვენი ქვეყნის ბუნების სილამახის სიყვარულს.

ქისა წითელ ხავერდისა,
აბრეშუმის თეთრ ზონარით.

ჩემო ძია, კარგო სტალინ,
გწერავ წვრილს შორი მხრიდან
და გთხოვ ძლიერ, სულით, გულით,
შემისრულო, მე რაც მინდა:

როგორც კი ამ ჩემს საჩუქარს
მოგიტანენ და მიიღებ,
ჩიბუხით და ჩემი ქისით
წამს სურათი გადაიღე.


მაშ ნახვამდის, იყავ კარგად,
როცა მოსწევ, მომივარე,
გწერს ანეტა ივანოვა,
სოფლის გოგო, კოლმეურნი.

თარგმნილი რუსულიდან შ. აბლაძის მიერ



ორივე ჭახით

ბაბა



ყურებჩამოყრილი თვლებს ჩვენი მუ-
რიკა უცებ მის წინ მელა გაჩნდა. მური-
კამ თვლები გააღო და გაკვირვებით
შეეკითხა:

— ვინა ხარ შენ?

— მე შენისთან ერთგული დარაჯი
ვარ თქვენი მეზობლისა.

— როგორ დარაჯი?! ასე პაწაწინას
რა დარაჯობა შეგიძლია?

— პატარაა ოქრო, მაგრამ ძვირფასია.
მურიკამ გაიღიმა.

— ჩემთან რად მოსულხარ?

— სამეგობროდ. ჩვენი პატრონები
მეგობრები არიან, ჩვენც მეგობრები
უნდა გავხდეთ. მე თუ რამე გამოიჭირდა,
შენ მომიშველდები, შენ თუ გაგიჭირ-
დება — მე.

— შენ რაში უნდა მომიხმარო, მო-
წინააღმდეგეს ერთ ლუკმად არ ეყოფი.

— ააა? ასე გგონია! ვთქვათ, შენ ჩა-
თვლიმე, მტერი გეპარება, მე ეს შევა-
მჩნიე, ხმა მივეცი, ან დარაჯებს შევატყო-
ბინე, ხომ იცი, ძალა ერთობაშია. სპილო
დიდია, ღონიერია, მაგრამ ისიც შეიძლე-
ბა საფრთხეში ჩაგარდეს, თუ სხვები არ
მიეშველნენ.

მურიკას ჭკუაში მოჭვიდა ეს ლაა-
რაკი. მელიამ შეატყო და გამოკითხვა
დაუწყო მის სამსახურზე.

— მე პატრონი კარგად მინახავს.
მეც ვაფასებ ამას და ვასრულებ ყველა
მის დავალებას. თუმცა ეზოს კარგი ღო-
ბე აქვს, ვერავინ ვადმოვა, მე მაინც,
ყველა რომ დაიძინებს, ერთხელ ირგვლივ
შემოვუვლი, მერე დილაშდის ამ კიბესთან
ვარ: სახლს თვალყურს ვადევნებ, რომ
შიგ არავინ შეიპაროს. მე ვერავინ შემი-
სყიდის. ეს იცის ჩემმა პატრონმა. ეს
იცოდე შენც.

მელა გამოემშვიდობა, უკან დაიხია

წელა, მორიდებით, რომ მურიკას მისი
კულის სიგრძე არ შეემჩნია.

— რაც მინდოდა, ხომ გავიგე, — ფი-
ქრობს გახარებული მელა. ეხლა სიფრთხი-
ლე, სიფრთხილე. მაგ ვეშაპს სენა მა-
ხვილი აქვს, თუ გამოგო, დამადრჩობს.

მურიკას პატრონს საქათმე მეზობლის
ლობესთან ჰქონდა. შიგ მრავალი მსუქანი
დედლი და ვარიები ჰყავდა და ერთიც
ყიყლიყო. ყველა ეს დაათვალიერა მე-
ლამ, გამოძებნა მოხერხებული ადგილი
და ხერხელის თხრა დაიწყო. პირველად
საქათმეში ხვრელიდან შეძვრა, ეს ყიყლი-
ყომ გაიგო და „ყო — ყო — ყო“ — გაკვი-
რვებით ჩაილაპარაკა. მელა გაიპარა. შე-
მდეგ უფრო ფრთხილად შედიოდა, ისე
სწრაფად ჩაავლებდა პირს ქათამს ყელში,
რომ ის კრინტსაც ვერ დასძრავდა. მუ-
რიკას ხანდახან ნახულობდა, მოიკითხა-
და, სხვადასხვა ამბავს მოუყვებოდა. დი-
ასახლისმა შეატყო, რომ რამდენიმე ვა-
რია დაიკარგა. ეძია, ვერ იპოვა, მერემ
მურიკა დაიბარა.

— მურიკა! შენ ერთგულ დარაჯად
მიმაჩნდი. როგორ მოხდა, რომ ვარიკები
დაიკარგა და შენ ვერ გაიგე, ვერ დაინა-
ხე ვინ წაიყვანა?

მურიკა მთლად გაშრა, არ იცოდა
რა ვთქვა.

როგორც წინათ, მე ახლაც ყოველ
დილა-სალამოს შემოვუვლი ხოლმე სახლს,
ეზოს, მაგრამ არავინ დამინახავს, რომ
დაეჭიროს, არც ხმა გამიგონია. არაფერი
არ ვიცი, — გაკვირვებით უპასუხა მურიკამ.

— ის ვარიები, უთუოდ, საქათმიდანაა
წაყვანილი. თვალყური ადევნე, თორემ,
თუ კიდევ დაიკარგა, გავაგდებ.

იმ სალამოს მელამ ინახულა მური-
კა, მოუყვა სხვადასხვა ამბებს, შეიტყო,
რომ მურიკა ყურს არ უგდებდა და უთხ-
რა:



— შენ როგორღაც ვერ ხარ გუნებაზე.
 — მართალია, სურდო მჭირს, თავი მტკივა, მალე დამეძინება და გთხოვ ყურადღება იქონიო ჩვენკენ.

მელა დაჰპირდა თხოვნის შესრულებას და მალე წავიდა. პატრონის გაფრთხილების შემდეგ მურიკას ექვი შეგპარა მელაზე. ახლა რომ დააკვირდა, გოაცდა: რატომ ამდენხანს ვერ შევნიშნე, როგორ გასუქდა და ტუჩები სულ უზბინავსო. მურიკა ფეხკრეფით წავიდა საქათმისაკენ. იქ მიწაზე გაწვა, სმენად გაღაიქცა. არ გასუ-

ლა დიდი დრო, რომ მელა გაჩნდა, ვარიკას კისერში სწვდა, გაგულდამოსვლას აპირებდა, ანთებული თვალებით მურიკა თავზე დაადგა. მელა შეკრთა, მაგრამ არ დაიბნა,

— შენთვის... შენთვის... მინდოდა, ავად რომ იყავი, — წუწუნით წარმოთქვა მან.

— წამო... წამო პატრონთან, მაგას იქ გაარჩევენ...

ასე გაება ფრთხილი მელა ორივე ფეხით.

ე. გიორგაძე

უსნაური ბაბი

სანამ თამაშს დაიწყებდეს, ედიშერი გულდასმით მოიფიქრებს რა ხელსაწყოები სჭირდება და შემდეგ ყოველგვარ წვრილმანს თავისი ხელით აკეთებს. აი გამოიტანა ხელსაწყოები, რა გინდა რომ ამ ყუთში არ ჰქონდეს: მავთული, ბურღი, დანა, ჩაქუჩი, ლურსმანი, ქინძისთავეები, მაკრატელი, კონსტრუქტორის ნაწილები და სხვა.

მუშაობის შემდეგ ისევ ჩაალაგებს ყველაფერს რიგზე, რომ შემდეგ ძებნა არ დასჭირდეს.

დღეს ორი ბატარა სტუმარი ჰყავს: გუსტია და თამილა. — გოგოებო! თქვენ რომ მუდამ დედოფალებს ათამაშებთ და კაბებს უკერავთ, აბა დახეთ, რომელი უფრო მოგეწონებათ, ჩემი გემი თუ თქვენი დედოფალი?

— მე მფრინავი უნდა გამოვიდე, — თქვა თამილამ და გუსტიას ვადახედა.

— მე კი ინჟინერი, — დაუმატა გუსტიამ.

— ახლა ჩვენ გემი უნდა ავაშენოთ, — მიმართა სტუმრებს ედიშერმა და წაუძღვა თავის „ლაბორატორიაში“ რამდენიმე წუთის შემდეგ უკვე გამო-

ქრილი იყო სქელი ქაღალდისაგან გემი და ახლა მხოლოდ წებავდნენ მას.

— ახლა უკვე ყველაფერი მზადა გვაქვს: საქე, ცხვირი, მოაჯირი. შენ თამილა, უმი კვერცი რომ გიყვარს, აი ამ ნახვრეტრიდან ამოწუწუნე მთლიანად. ოღონდ ნაჭუქი არ ვატეხო.

ცოტა ხნის შემდეგ თამილამ გადასცა ედიშერს ცარიელი კვერცხის ნაჭუქი, გუსტიამ კი მეორე კვერცხის ნაჭუქი დაამზადა. ამ ნაჭუქს მხოლოდ ერთი გვერდი ჰქონდა. ეს ცეცხლისთვის სჭირდებათ. ორი მოხრილი მავთული ისე გააბეს გემის მოაჯირიდან, რომ დახვრეტილი ნაჭუქი მშვენივრად მოათავსდა ხედ. შიგ წყალი ჩაასხეს და ქვევით კი გემის ფსკერზე მეორე კვერცხის ნაჭუქი მოათავსეს.

— ეს ქვაბის მაგივრია, — უხსნიდა სტუმრებს ედიშერი. როცა ქვედა ნაჭუქში სპირტში დასველებული ბამბა ჩადო და ზედ ქვაბი ვაცხელდა, ცოტა ხნის შემდეგ ქვაბმა ქმენა დაიწყო, ნახვრეტიდან ხმაურით გამოვარდა ორთქლი, გემი დაიძრა წყლით საყვ ტაშტში და რამდენიმეჯერ შემოუარა ქმენით. სტუმრები ძლიერ კმაყოფილი დარჩნენ უცნაური გემის ნახვით.